ᲓᲦᲔᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲗ

• 7 თვის ანგარიში
• რატომ ჩამორჩა ნორნა?
• „მფრინავი ჰოლანდიელი“, „შავი ქურციკი“...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲝᲒᲒᲘᲗᲮᲠᲝᲒᲡ...

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲚᲔᲚᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 21-Ე ᲬᲔᲚᲘ.

№ 161 (2524) ◉ ᲙᲕᲘᲠᲐ, 16 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1964 Წ. ◉ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲕᲐᲟᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜ

ᲒᲤᲠ-ᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲙᲣᲠᲝᲠᲢᲝ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲒᲐᲓ-ᲙᲐᲠᲘᲝᲪᲜᲐᲨᲘ ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲣᲐ ᲖᲚᲕᲘᲡ ᲐᲣᲖᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ IX ᲡᲔᲡᲘᲐ.

ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ, ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚ ᲕᲐᲟᲗᲐ 1965 ᲬᲚᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡ�წᲐᲠᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲔᲠᲑᲠᲔᲑᲘ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲐ 14-27 ᲛᲐᲘᲡᲘ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲨᲔᲢᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲒᲝᲚᲘ... ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲙᲐᲠᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 15 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ. ᲓᲦᲔᲡ ᲐᲥ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲩᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ.

ᲛᲔ-19 ᲬᲣᲗᲘᲡ ᲤᲐᲓᲔᲕᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲣᲙᲐᲠᲘᲡ Ს. ᲙᲝᲢᲘᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ — 1:0.

ᲔᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲨᲔᲠᲩᲐ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲢᲐᲑᲚᲝᲡ.

ᲨᲔᲯᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲘᲔᲠᲘᲨᲔᲛᲐᲛ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲓᲐ ᲓᲘᲜᲐᲛᲝ-ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲔᲒᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲩᲘᲡ Ს. ᲙᲝᲢᲘᲐᲫᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ — 1:0.

ᲛᲔ-19 ᲬᲣᲗᲘᲡ ᲤᲐᲓᲔᲕᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲮᲓᲝᲛᲘᲗ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲣᲙᲐᲠᲘᲡ Ს. ᲙᲝᲢᲘᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ — 1:0.

ᲔᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲨᲔᲠᲩᲐ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲢᲐᲑᲚᲝᲡ.

ᲨᲔᲯᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲘᲔᲠᲘᲨᲔᲛᲐᲛ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲓᲐ ᲓᲘᲜᲐᲛᲝ-ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲔᲒᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲩᲘᲡ Ს. ᲙᲝᲢᲘᲐᲫᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ — 1:0.

ᲔᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲠᲘᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“.

ᲛᲔ-19 ᲬᲣᲗᲘᲡ ᲤᲐᲓᲔᲕᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲮᲓᲝᲛᲘᲗ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲣᲙᲐᲠ

ჩვენი მუშაობის დიდმნიშვნელოვანი უბანი

საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა ახლახანს იმსჯელა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებისა და საუწყებო ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ მიმდინარე წლის შვიდ თვეში სპორტის ოსტატების, სპორტსმენ-თანრიგოსნების მომზადებისა და ფიზკულტურელთა რიცხვის ზრდის 1964 წლის გეგმების შესრულების მიმდინარეობაზე.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ სპორტულმა საზოგადოებებმა განვლილი შვიდი თვის მანძილზე გარკვეული მუშაობა ჩაატარეს ამ მიმართებით, რის შედეგადაც რესპუბლიკაში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების გეგმის შესრულება. იგი წლიური გეგმის 65 პროცენტს აღემატება. არ შეიძლება არ აღინიშნოს „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს (თავმჯდომარე ი. ბოჭორიძე) ნაყოფიერი მუშაობა. მისმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა შვიდ თვეში მოამზადეს 11 სპორტის ოსტატი, 192 პირველთანრიგოსანი და 6.550 მეორე, მესამე და მოზარდი თანრიგის სპორტსმენი, ხოლო ფიზკულტურელთა რიცხვი გაზარდეს 121 ათასამდე. კარგად მიმდინარეობს გეგმის შესრულება აგრეთვე „დინამოსა“ და „კოლმეურნის“ ფიზკულტურულ კოლექტივებში.

ამასთან ერთად, პრეზიდიუმმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება გეგმების შესრულებაში არსებულ სერიოზულ გარღვევებზე, რის შედეგადაც სპორტის ოსტატების მომზადების გეგმა დღეისთვის შესრულებულია მხოლოდ 27,7 პროცენტიდ, ხოლო პირველთანრიგოსნებისა—50,4 პროცენტით. ფიზკულტურელთა რიცხვის ზრდის გეგმის შესრულებისთვის კი საჭიროა წლის დარჩენილ დროში ფიზკულტურელთა რიგებში დამატებით იქნეს გაერთიანებული 130 ათასი კაცი.

გეგმების შესრულებაში ჯერ კიდევ ჩამორჩებიან: „შრომითი რეზერვების“ (თავმჯდომარის მოადგილე გ. კირვალიძე), „სპარტაკის“ (თავმჯდომარე გ. ცქიტიშვილი), „ლოკომოტივის“ (თავმჯდომარე თ. კაჭახიძე), „ბურევესტნიკის“ (თავმჯდომარე გ. ჭილაია) და არმიის სპორტული კლუბის (ხელმძღვანელი ვ. ჟურული) ფიზკულტურული ორგანიზაციები.

„შრომითი რეზერვების“ კოლექტივებმა, მაგალითად, შვიდ თვეში ვერც ერთი სპორტის ოსტატი და პირველთანრიგოსანი ვერ მოამზადეს, ხოლო „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“ ორგანიზაციებმა მხოლოდ ორ-ორი სპორტის ოსტატი აღზარდეს მაშინ, როცა პირველმა უნდა მოამზადოს 28, ხოლო მეორემ—12.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ მიმდინარეობს წლიური გეგმის შესრულება სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებში, მოგვყავს გეგმების შესრულების მიმდინარეობის ცხრილი 1964 წლის 1-ლი აგვისტოს მდგომარეობით.

სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა მიერ სპორტის ოსტატების, სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადებისა და ფიზკულტურელთა რიცხვის ზრდის 1964 წლის გეგმების შესრულების მიმდინარეობა 1964 წლის 1 აგვისტოსათვის

სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა დასახელება	სპორტის ოსტატი			I თანრიგი			II-III და მოზრ. თანრიგი			ფიზკულტურელთა რიცხვი		
	გეგმა	შესრ.	პროცენტი	გეგმა	შესრ.	პროცენტი	გეგმა	შესრ.	პროცენტი	გეგმა	შესრ.	1964 წლის ბოლომდე ჩასაბმელი
სკოლები	10	3	30,0	250	157	62,8	38.000	30.464	80,2	403.500	304.300	99.200
„შრომითი რეზერვები“	15	—	0	100	—	0	5.100	2.992	58,7	10.000	9.800	200
„განთიადი“	23	11	47,8	230	192	83,5	8.100	6.550	80,9	123.000	120.300	2.700
„ლოკომოტივი“	12	2	16,7	100	74	74,0	2.610	2.121	81,2	23.000	21.200	1.800
„ვოდნიკი“	3	1	33,3	30	23	76,7	300	165	55,0	1.500	1.400	100
„ბურევესტნიკი“	85	21	24,7	505	235	46,5	5.000	2.265	45,3	19.000	17.600	1.400
„კოლმეურნე“	23	8	34,8	200	152	76,0	9.600	5.601	58,3	235.000	223.000	12.000
„სპარტაკი“	28	2	7,1	195	39	20,0	7.800	5.143	65,9	120.000	107.400	12.600
„დინამო“	31	28	90,3	390	136	34,8	4.300	2.858	66,5	—	—	—
არმიის სპორტული კლუბი	69	7	10,2	—	—	—	—	—	—	—	—	—
სულ რესპუბლიკაში:	299	83	27,7	2.000	1.008	50,4	80.000	57.533	71,9	935.000	805.000	130.000

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ძალზე ცუდი მდგომარეობაა სპორტის ოსტატების მომზადებაში. დიდი გარღვევებია აგრეთვე სპორტის ოსტატებისა და თანრიგოსანთა მომზადებაში სპორტის დაგეგმილი სახეობების მიხედვით, რაც მეტად სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ჩვენს მუშაობაში. სპორტსაზოგადოებებმა და უწყებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ მუშაობის ამ მეტად მნიშვნელოვან უბანს, რადგან მასზეა დამოკიდებული სპორტის ამა თუ იმ სახეობის შემდგომი განვითარება რესპუბლიკაში.

საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა გააფრთხილა სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ხელმძღვანელები და მიუთითა მათ მიიღონ ყველა საჭირო ზომა გეგმების დროული და ხარისხობრივი შესრულებისთვის. ამასთან, პრეზიდიუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

ნ. სომხიშვილი,
საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობისა და კადრების განყოფილების უფროსი ინსპექტორი.

პროფკავშირთა სპარტაკიადა

თბილისი, 15 აგვისტო. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა 1965 წელს გამართოს ჩვენი ქვეყნის პროფკავშირთა VIII სპარტაკიადა. ამ დიდი და მასობრივი შეჯიბრების ფინალური შეხვედრები ჩატარდება მოსკოვში, აგვისტოში. ფინალში მონაწილეობას მიიღებენ მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები კოლექტივები. გარდა ამისა, ფინალში მონაწილეობას მიიღებენ საწარმო-დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა ფიზკულტურული კოლექტივები და სპორტული კლუბები.

პროფკავშირთა VIII საკავშირო სპარტაკიადის ხელმძღვანელობისთვის შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი საკავშირო პროფსაბჭოს მდივნის ნ. ნ. რომანოვის თავმჯდომარეობით. საორგანიზაციო კომიტეტი ხელმძღვანელობას გაუწევს ამ დიდი ღონისძიების მომზადებასა და ჩატარებას.

ჯანსაღი ცხოვრება

● **კიეველმა** ინჟინერმა, 25 წლის ე. ტკაჩენკომ, ოქროს მედალი მოიპოვა დასავლეთგერმანულ ქალაქ ლეიტკირპენში მიმდინარე მსოფლიო პირველობაზე სპარაშუტო სპორტში. პროგრამის ყველაზე რთულ სახეობაში — ფიგურულ ხტომებში მიწიდან მიცემულ ნიშანზე — მან შეინარჩუნა ჩემპიონის წოდება. II და III ადგილებზე გამოვიდნენ მისი თანაგუნდელები ვ. კრესტიანიკოვი და ო. კაზაკოვი.

● **პირველი** საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა გამართეს სსრ კავშირში სტუმრად მყოფმა ბუდაპეშტის „ვაშუტაშის“ ფეხბურთელებმა. ისინი ზაპოროჟიეში შეხვდნენ ადგილობრივ „მეტალურგს“ და დამარცხდნენ — 2:3.

„ნაცვლის“ ჭეშმარიტი ინტერესებისა

ჩვენი გაზეთის ა. წ. 2 ივლისის ნომერში დაბეჭდილი წერილი — „შეჯიბრება პრობლემებით“ ეხებოდა ჩვენს რესპუბლიკაში მხატვრული ტანვარჯიშის განვითარებაში არსებულ ხარვეზებს.

როგორც საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მთავარი მწვრთნელი ტანვარჯიშში ამხ. ს. ჯაიანი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. ამჟამად მიმდინარეობს მხატვრულ ტანვარჯიშში არსებული მდგომარეობის შესწავლა რესპუბლიკაში. განზრახულია მთელი რიგი ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც ხელს შეუწყობენ სპორტის ამ სახეობის განვითარებას.

ნაცვლის ნაკვეთი

სტარტზე არიან ...ბაყაყები

ზუგდიდელმა სპორტის მესვეურებმა ამ რამდენიმე წლის წინათ კარგი საქმე ითავეს — კულტურისა და დასვენების პარკში დაიწყეს საცურაო აუზის მშენებლობა. ერთ ხანს საქმიანობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, ამოთხარეს მომავალი აუზის ქვაბური, აშენდა დამხმარე ნაგებობანი, მაგრამ შემდეგ მშენებლობა ღონის ანაბარა მიატოვეს.

სამმა წელმა განვლო. აუზი წვიმის წყლით აივსო და ბაყაყების თავშესაფრად იქცა. ისინი აქ თავს ნებივრად გრძნობენ და ერთმანეთს ყოყინში ეჯიბრებიან. თანდათან დაინგრა ნაგებობაც. საინტერესოა, როდის დამთავრდება აუზის მშენებლობა?

ბ. ალშიბაია
ზუგდიდი.



ამას წინათ სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირების კიკეთის რესპუბლიკურ ბანაკში შეხვედრა მოუწყეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანს შ. იამანიძეს. ნორჩ დამსვენებელთა სახელით სახელოვან ფეხბურთელს მიესალმნენ ნ. წერეთელი და ა. მინდიაშვილი. ბავშვებმა სტუმარს გირჩებიდან დამზადებული წეროები გადასცეს საჩუქრად.

შ. იამანიძემ მიულოცა პიონერებს ბანაკის სპარტაკიადის წარმატებით დამთავრება, მედლები და სიგელები გადასცა საუკეთესო ფიზკულტურელებს—მ. მოხაშვილს, თ. გორდაძეს, ე. ჭიჭინაძეს. შემდეგ მან ნორჩ მასპინძლებს მოუთხრო თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა საქმიანობასა და მომავალ გეგმებზე. დასასრულ, ბავშვების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი.

სურათზე: შ. იამანიძე ესაუბრება სბანაკო სპარტაკიადაში გამარჯვებულთ (მარცხნიდან მარჯვნივ) — მ. მოხაშვილს, თ. გორდაძესა და ე. ჭიჭინაძეს.

ა. სოსელია
ფოტო ნ. ჯორბენაძისა.

...ბაყაყების წარმოშობის საიდუმლო

დამთავრდა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრე. ფეხბურთის ცნობილმა სტატისტიკოსმა კ. ესენინმა შეაჯამა გათამაშების პირველი წრის შედეგები და მოგვაწოდა საინტერესო სტატისტიკური ცნობები.

I წრის ჩემპიონები

საბჭოთა კავშირის საკლუბო ჩემპიონატების გათამაშება ფეხბურთში ოდესაც ხდებოდა ორჯერ — გაზაფხულზე და შემოდგომით. შეჯიბრება ტარდებოდა ერთ წრედ. თუ გავიხსენებთ ჩემპიონატის ჩატარების მაშინდელ ფორმულას, შეიძლება პირველი ტურის გამარჯვებულებს ვუწოდოთ „საგაზაფხულო ჩემპიონები“, თუმცა, აქ გასაკვირი მაინცდამაინც არაფერია: ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ეს დღესაც ასე ხდება. პოლონეთს, მაგალითად, ევროპის ჩემპიონთა თასში გამოჰყავს არა თავისი ოფიციალური ჩემპიონი, არამედ სწორედ პირველ წრეში გამარჯვებული, ე. წ. „საგაზაფხულო ჩემპიონი“.

თუ გადავხედავთ სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველ წრეს, I ადგილი აქ მოპოვებული აქვს მოსკოვის „ტორპედოს“. ვიცე-ჩემპიონია თბილისის „დინამო“, ხოლო III ადგილზე იმყოფება როსტოვის არმიელთა გუნდი.

ტორპედოელებს, გარდა ამისა, I ადგილი აქვთ დაკავებული მეტოჭეთა კარში გატანილი ბურთებით—33. რაც შეეხება დაცვას, ეს ხაზი ყველაზე უკეთესი აქვს მინსკის „დინამოს“, რომელმაც თავის კარში გაუშვა სულ 7 ბურთი.

სნაიპერთა დუელს ლიდერობს მოსკოვის „ტორპედოს“ ვეტერანი ვ. ივანოვი, რომელსაც გატანილი აქვს 9 ბურთი.

ბომბარდირთა შორის

ფეხბურთის საუკეთესო ბომბარდირთა ათეულში, სადაც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატების მთელი ისტორიის მანძილზე შესული არიან 100 და მეტი გოლის გამტანი ფეხბურთელები, იმყოფება ორი ფეხბურთელი საქართველოდან — ა. ღოღობერიძე და ზ. კალოევი.

ამ ათეულიდან, რომელსაც უწინდებურად მეთაურობს ა. პონომარიოვი, დღეს ძირითად შემადგენლობაში თამაშს განაგრძობს მხოლოდ ვ. ივანოვი, რომლის პირად ანგარიშზეა 110 გატანილი ბურთი. სხვა ფეხბურთელთაგან, რომლებიც ამჟამად მწყობრში დგანან, არის კიდევ ერთი ათეული, რომლებსაც გატანილი აქვთ 50-ზე მეტი ბურთი. აი, ეს ათეული:

1. გ. გუსაროვი—75 ბურთი, 2. ვ. კან�—73, 3. ი. ფალინი—62, 4. ო. კოპაევი—56, 5. ა. მამიკინი—55, 6. ა. ისაევი—55, 7. შ. იამანიძე—54, 8. გ. ჰუსაინოვი—54, 9. ვ. ბარჭაია—53, 10. ჰ. ფედოსოვი—51.

ვინ განაახლებს რეკორდს?

„ლელოს“ მკითხველებმა ალბათ იციან მეკარეთა ხელოვნების თავისებური რეკორდები. 1936 წლის პირველმა ჩემპიონატმა, ბუნებრივია, შექმნა პირველი რეკორდსმენები. ესენი იყვნენ მოსკოვის „დინამოს“ მეკარე ა. კვასნიკოვი და მოსკოვის „სპარტაკის“ მეკარე ი. რიჟოვი. 1938 წელს რეკორდი გადაიბარა მოსკოვის „სპარტაკის“ მეკარემ ვ. ჟმელკოვმა, რომელიც შემდგომში თბილისის გუნდებში თამაშობდა.

ომის შემდეგ რეკორდის მფლობელი გახდა ა. ხომიჩი („დინამო“, მოსკოვი), რომელმაც 13 ბურთი გაუშვა 22 თამაშში (საშუალოდ თითო მატჩში 0,59 გოლი). ეს რეკორდი ცოცხლობდა 12 წელი. შემდეგ იგი გაუმჯობესეს ლ. იაშინმა („დინამო“, მოსკოვი) — 0,58, ი. ბაუკამ (ცსკა)—0,53 გოლი, დაბოლოს, მეკარის თამაშის ბრწყინვალე ხელოვნება აჩვენა კვლავ იაშინმა, რომელმაც შარშან 27 მატჩში გაუშვა სულ 6 ბურთი. ეს ნიშნავს 0,22 გოლს თამაშში. თითქოს, ასეთი რეკორდის გაუმჯობესება შეუძლებელ საქმეს წარმოადგენს, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინედ, ეს მაჩვენებელი რეალური საშიშროების წინაშე აღმოჩნდა მიმდინარე ჩემპიონატის პირველ წრეში.

მინსკის „დინამოს“ მეკარე ა. დენისენკო ვეტერანთა რიცხვს მიეკუთვნება. მას საკავშირო ჩემპიონატებში ჩატარებული აქვს 200 შეხვედრა. და ამ „მოხუცმა“ პირველი წრის 11 შეხვედრაში კარში გაუშვა სულ 2 ბურთი. ეს შედეგი—0,18 გოლი—უკვე რეალური საფრთხეა იაშინის რეკორდისთვის.

შეძლებს თუ არა დენისენკო იაშინის რეკორდის გაუმჯობესებას? პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს მეტად ძნელი საქმეა. 1949 წელს ლ. ივანოვმა (ლენინგრადის „ზენიტი“) სეზონის პირველ 10 შეხვედრაში გაუშვა სულ 1 ბურთი, მაგრამ მეთერთმეტე მატჩში მის კარში ერთბაშად 8 გოლი გაიტანეს. ასეთი ამბები ხშირად ხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკურიანში, ბანაკად...

რა ჯობს ვარჯიშს მინდორზე, ნაძვნარში! მით უმეტეს, როცა თბილისში თაკარა სიცხეა, ბაკურიანში კი ამ დროს საამო სიგრილე დგას.

უკვე თითქმის ორი თვეა, რაც თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლისა და „ბურევესტნიკის“ ნორჩი ფეხბურთელები ბაკურიანში ჩავიდნენ საბანაკოდ. მათს განკარგულებაშია სათხილამურო ბაზის შენობა.

ამ გამაჯანსაღებელ-საწვრთნელი ბანაკის ახლანდელი ბინადარნი პირველად არ ჩამოდიან აქ ზაფხულის სასკოლო არდადეგების დღეებში, რათა აიმაღლონ სპორტული ოსტატობისა და ფიზიკური მომზადების დონე, რაც ესოდენ საჭიროა ნამდვილი ფეხბურთელისთვის.

გარიჟრაჟზე, როცა მზის სხივები ძლივს ატანენ დილის ნისლს, ტყავის ბურთის მომავალ ოსტატებს ეწყებათ სპორტული დღე.

დილის ტანვარჯიშს ცვლის კროსი ტყეში, შემდეგ აუცილებელი ბანაობა ყინულივით ცივ, მთის მდინარეში, საუზმე.

საუზმის მერე ბავშვები იყოფიან ცალკეულ პატარა ჯგუფებად, რომლებიც მწყობრად მიჰყვებიან ერთმანეთს ტყისკენ. სპორტული მოედნების მწვანე ხალიჩაზე მეცადინეობას ატარებენ გამოცდილი მწვრთნელები შ. მერკვილაძე, ი. შუდრა, გ. მამალაძე და სხვანი. მათი ხელმძღვანელობით ნორჩი ფეხბურთელები საათობით ვარჯიშობენ, დაუღალავად იმეორებენ დიდი ფეხბურთის ტექნიკის მრავალფეროვან ელემენტებს.

მწვრთნელები კმაყოფილი არიან: მათი აღსაზრდელები დღითიდღე ღონეს იკრებენ და კაჟდებიან. მაგრამ ბანაკის ამოცანა მხოლოდ სპორტული მომზადების დონის ამაღლება როდია. მთავარია ბავშვების ჯანმრთელობისთვის მტკიცე საფუძვლის ჩაყრა, საერთო გამოწრთობა.

საწვრთნელი ბანაკი ბაკურიანში დიდ დახმარებას უწევს ახალი, ჯანსაღი სპორტული თაობის აღზრდას.

* * *

სურათებზე: ზევით, მარცხნივ — **იწყება ვარჯიში. ნორჩი ფეხბურთელები მწყობრად მიემართებიან მწვანე მინდვრისკენ,** ქვევით — **თამაში დაიწყო. როგორც ხედავთ, მას ერთობ დაძაბული ხასიათი აქვს;** ზევით, მარჯვნივ — **ტექნიკური ელემენტების დახვეწა.**

ფოტო და ტექსტი **შ. კრიმსკისა (ჩვენი სპეც. კორ.).**

ბაკურიანი.

ფავორიტები და პროგნოზები

ფრენბურთის დაბადების ადგილად აშშ-ის პატარა ქალაქ ჰელიოკს თვლიან. აქ, 1895 წელს, ვინმე ვილიამ გ. მორჰანმა დარბაზში 2 მეტრ სიმაღლეზე ჩოგბურთის ბადე გაჭიმა და ორ გუნდად დაყოფილ ამხანაგებთან ერთად ახალი სპორტული თამაში წამოიწყო. აქედან მიეცა დასაბამი სპორტის ერთ-ერთ უპოპულარეს სახეობას — ფრენბურთს. მან სწრაფად გაიდგა ფესვები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ახლა ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაცია 80 სახელმწიფოზე მეტს აერთიანებს.

და, მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ფრენბურთმა საყოველთაო სიყვარული თავიდანვე დაიმსახურა და მას მილიონობით ადამიანი თამაშობდა, იგი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში არა და არ შეჰქონდათ. მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, სამართალმა იზეიმა და ოლიმპიადებში მოქალაქეობრივი უფლება ფრენბურთელებმაც მოიპოვეს: წელს პირველად ტოკიოში გათამაშდება ფრენბურთელ-ოლიმპიელთა მედლებიც.

სხვადასხვა სახის შერჩევითი ტურნირის (მსოფლიო, ევროპის ჩემპიონატები, პანამერიკული თამაშები და სხვ.) შემდეგ ტოკიოში ოქროს მედლებისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა ვაჟთა 10 და ქალთა 6 გუნდმა. ვაჟთა გუნდებს ტოკიოში წარმოადგენენ საბჭოთა კავშირი (მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატის III პრიზიორი), ჩეხოსლოვაკია (მსოფლიო ჩემპიონატის II პრიზიორი), რუმინეთი (მსოფლიო ჩემპიონატის III პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი), უნგრეთი (ევროპის ჩემპიონატის II პრიზიორი), ჰოლანდია (ადგილი მიეცა ევროპული კომისიის გადაწყვეტილებით), იაპონია (მასპინძელი ქვეყნის უფლებით), სამხრეთ კორეა (აზიის შერჩევით ტურნირში გამარჯვებული), არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა (აფრიკის შერჩევით ტურნირში გამარჯვებული), ბრაზილია და აშშ (პანამერიკულ თამაშებში I-II ადგილებზე გასული ქვეყნები).

რა შანსები აქვთ ფავორიტებს ტოკიოში? რყო დრო, როცა საბჭოთა ფრენბურთელები ბატონობდნენ მსოფლიო ფრენბურთის რუკაზე და არავის უთმობდნენ ჩემპიონის ტიტულს. მსოფლიო პირველობა მათ ახლაც არ დაუკარგავთ, მაგრამ 1963 წელს იაპონიაში მასპინძლებთან დამარცხება, ევროპის ჩემპიონატზე III ადგილი (რუმინეთისა და უნგრეთის შემდეგ) მიგვინიშნებს იმაზე, რომ ჩვენს ნაკრებს რაღაც ბზარი გაუჩნდა. თუმცა მას შემდეგ ცოტა დრო როდი გავიდა. გარდა ამისა, ახლახან მოსკოვში წინასაოლიმპიადო ტურნირში საბჭოთა ნაკრებმა აჩვენა, რომ კვლავ თამამად შეუძლია იბრძოლოს ოლიმპიური ოქროსთვის.

პირველ ოლიმპიურ სამეულში მოხვედრის ყველაზე რეალური შანსები, ჩვენის აზრით, აქვთ იაპონელებსაც, რუმინელებსაც, უნგრელებსაც, ჩეხოსლოვაკელებსაც და ბრაზილიელებსაც. ამასთან, ყველაზე საშიშ პრეტენდენტად მაინც იაპონელებს მივიჩნევთ, რადგან თავის დროზე იაპონელი ქალებიც მორიდებული ნაბიჯით და მრავალუცნობიანი განტოლებასავით გამოჩნდნენ მსოფლიოს ასპარეზზე. და სანამ ამ განტოლებას ამოხსნიდნენ გაოცებული მეტოქეები, იაპონელი ქალები მსოფლიო ჩემპიონთა კვარცხლბეკზე წამოსკუპდნენ.

ოლიმპიურ ოამაშებში, როგორც აღვნიშნეთ, ქალთა მხოლოდ 6 კოლექტივი იქნება. ესენია: იაპონია (მსოფლიო ჩემპიონი, ამავე დროს მასპინძელი ქვეყანა), საბჭოთა კავშირი (მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონი), პოლონეთი (მსოფლიო ჩემპიონატის III და ევროპის ჩემპიონატის II პრიზიორი), რუმინეთი (ევროპის ჩემპიონატის III პრიზიორი), კორეის სახალხოდემოკრატიული რესპუბლიკა (აზიის შესარჩევ ტურნირში გამარჯვებული) და აშშ (პანამერიკული თამაშების II პრიზიორი. თამაშების ჩემპიონმა — ბრაზილიამ უარი თქვა ტოკიოს ოლიმპიადაში მონაწილეობაზე). აქ, ჩვენის აზრით, პირველ სამეულში მოხვედრის შანსები აქვთ სსრ კავშირს, იაპონიას, პოლონეთსა და რუმინეთს.

მაინც ვინ იქნება პირველი? სსრ კავშირი თუ იაპონია? მიუხედავად იმისა, რომ ამომავალი მზის ქვეყნის საყოველთაოდ ცნობილმა გუნდმა „ნიჩიბომ“ ამ უკანასკნელ ხანს არა ერთი უსიამოვნება მიაყენა საბჭოთა კოლექტივს, ჩვენებს მაინც აქვთ ოლიმპიური ჩემპიონობის მოპოვების შესაძლებლობა. და აი, რატომ. სულ ახლახან მოსკოვში სტუმრად იყო იაპონიის ნაკრები, რომელიც ჩვენებმა ოთხჯერ დაამარცხეს. მართალია, ეს იყო იაპონიის ნაკრები-ბ და ოლიმპიურ თამაშებზე სწორედ „ნიჩიბო“ იბრძოლებს, მაგრამ, სპეციალისტების აზრით, საბჭოთა ფრენბურთელებს ძალუძთ იაპონელთა გატეხვა. საქმე იმაშია რომ მოსკოვსა და ლენინგრადში სტუმრად მყოფი ნაკრები „ნიჩიბოს“ არც თუ ძალიან ჩამოუვარდება. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენებმა უკვე საკმაოდ აუღეს ალღო „იაპონური სტილით“ თამაშს. ცხადია, ეს მაინც არაა საკმარისი, — საჭიროა შეუნელებელი მზადება, წვრთნა, ოსტატობის სრულყოფა, ახალი ტექნიკური და ტაქტიკური იარაღის გამოძებნა... ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორიც: ჩვენს ქალებს ჩაესახათ საკუთარი ძალებისადმი რწმენა.

ვნახოთ, რა ჭირნახულს მოგვიტანს ტოკიოს შემოდგომა!

ჯ. ენუქიძე

რა მოხდა?

ეს კითხვა ებადება ყველას, ვინც თვალყურს ადევნებს მინსკის ნახევარფინალში ნონა გაფრინდაშვილის თამაშს. ბევრი გაოცებულია მსოფლიო ჩემპიონის წარუმატებლობით ბოლო პარტიებში. მან ხომ განვლილ 9 ტურში მხოლოდ 3,5 ქულა დააგროვა. მართლაც, რა მოხდა, რაშია საქმე?

უპირველეს ყოვლისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნ. გაფრინდაშვილი ქალებში კი არ თამაშობს, არამედ ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ვაჟთა ტურნირში. ყოველმა ოსტატმა ნახევარფინალში თამაშის უფლება თავისი რესპუბლიკის წამყვან მოჭადრაკეებთან ასპარეზობაში მოიპოვა. და ბუნებრივია, რომ ახლა ისინი კიდევ უფრო მეტი თავდადებით იბრძვიან. ზოგს ფინალში თამაშის, ზოგს სპორტის ოსტატის ნორმატივის (10 ქულა) შესრულების პრეტენზია აქვს. ასეთ დასში პირველად გამოდის ჩვენი მოჭადრაკე ქალი.

შეიძლება ვინმემ თქვას: ჰასტინგსისა და რეიკიავიკის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირები განა ნაკლები ძალისა იყო, სადაც ნონამ დამაკმაყოფილებელი შედეგი აჩვენაო? ამ ტურნირებშიც ძლიერმა მოჭადრაკეებმა მოიყარეს თავი, მაგრამ მაშინ მსოფლიო ჩემპიონი ჩინებულ სპორტულ ფორმაში იყო. მინსკში კი, როგორც ჩანს, კარგ ფორმაში არ არის. ნონას მწვრთნელი მ. შიშოვი გაკვირვებულია იმით, რომ მოჭადრაკე ქალი ბევრს ფიქრობს თვითეულ სვლაზე, რის გამოც ხშირადაა ციაიტნოტში, უკეთეს მდგომარეობაში მუდამ ვერ პოულობს ძლიერ ლოგიკურ გაგრძელებას.

საგანგაშო არაფერი მომხდარა. ნონამ აჩვენა, რომ მას თანაბარი ძალით შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს ნაქებ საბჭოთა ოსტატ ვაჟებს. აი, ნახეთ მისი პარტია სტუდენტ-მოჭადრაკეთა მსოფლიო გუნდურ პირველობაზე გამარჯვებული საბჭოთა გუნდის ლიდერთან — ოსტატ გ. ხოდოსთან.

გაფრინდაშვილი — ხოდოსი
სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ∂f3 e6 3. d4 cd 4. ∂:d4 a6 5. ∂c3 ლc7 6. კe2 ∂c6 7. კe3 ∂f6 8. 0—0 კb4 9. ∂a4.

მწვავე გაგრძელება, რომელიც საფუძვლიანად აქვთ დამუშავებული რიგელ მოჭადრაკეებს.

9.., 0—0 10. ∂:c6 dc 11. f4.

უფრო უკეთესი იყო 11. კb6 შაევების ლაზიერის ფრთის შებოჭვით. თუ 11.., ლe5 12. f4 ლ:e4 13. კd3 ლd5 14. c4 ლd7 თეორებს პაიკში თვალსაჩინო პოზიციური უპირატესობა აქვთ. გაფრინდაშვილი ცენტრსა და მეფის ფრთაზე აქტიურ თამაშს იწყებს.

11... ∂fd8 (და არა 11... ∂:e4 12. ლd4 გამო) 12. კd3 ∂d7 (12... ∂:e4 მოყვება 13. კb6) 13. a3 კe7 14. ლf3 c5 15. e5 ∂b8 16. ლh3 g6 17. ∂gh1.

შიშოვის აზრით, ეს დროის დაკარგვაა. საჭირო იყო 17. ∂c3 ცენტრში ძალების თავმოყრით. ხოდოსი ათანაბრებს თამაშს.

17... b5 18. ∂c3 კb7 19. ∂ae1 c4 20. კe4 b4 21. ab კ:b4 22. კc1 ∂c5 23. კ:b7 ∂:b7 24. ∂e4 ∂:e4 25. ∂:e4 ლc6 26. ლf3 კd2?

საბედისწერო შეცდომა. აუცილებელი იყო 26... ∂bd7. ახლა მოჭადრაკე ქალი მოულოდნელი, ლამაზი დარტყმით იგებს ფიგურას. 27. ∂d4! და ხოდოსი დანებდა.

წინაა ტურნირის კიდევ 8 ტური. ნონას შეუძლია მდგომარეობის გამოსწორება, თუმცა 10 ქულის მოგროვება ძალიან გაუჭირდება. სამაგიეროდ, იგი მიიღებს იმ ძვირფას გამოცდილებას, რომელიც მუდამ გამოადგება ქალებთან თამაშში. ნონა ხომ სწორედ ამისთვის ჩაება ტურნირში!

თ. ბიოლოგაძე

ჭადრაკი

...ბურთის წრის სპეციალური

რეკორდები და იუბილეები

„სპარტაკისა“ და მოსკოვის „დინამოს“ მატჩის წინ, რომელიც 20 ივლისს შედგა მოსკოვში, დიქტორმა გამოაცხადა: „ღღეს „სპარტაკის“ მოთამაშე იგორ ნეტო თავის 342-ე მატჩს ატარებს. ამით „სპარტაკის“ ვეტერანმა მოხსნა შესანიშნავი თბილისელი ფეხბურთელის ა. ღოღობერიძის რეკორდი, რომელიც 341-ს უდრიდა“. სამ წელიწადს ურყევი იყო ქართველი ვეტერანის ეს რეკორდი, მაგრამ, როგორც ხედავთ, მისი შეცვლის დროც დადგა.

1961 წლის გაზაფხულზე ა. ღოღობერიძე გამოვიდა როსტოვის სტადიონზე, რათა, როგორც შემდეგ გამოირკვა, ჩაეტარებინა თავისი უკანასკნელი მატჩი სსრ კავშირის ჩემპიონატში. მას შემდეგ იგი ატარებდა საბჭოთა ფეხბურთის „მთავარი ვეტერანრეკორდსმენის“ არაოფიციალურ წოდებას. ახლა იგი თავისებური ვიცერეკორდსმენია და, ეფიქრობთ, ძნელი იქნება ვინმესთვის ამ შედეგის გამეორება. მესამე მაჩვენებელი ამ მხრივ აქვს ს. სალნიკოვს (333 მატჩი), მეოთხე—ვ. ვოროშილოვს—330.

მე მაკვირვებს, რატომ არ აწყობს თბილისის „დინამო“ საიუბილეო მატჩს ზ. კალოევისთვის. მის ანგარიშზეა 249 მატჩი და საკმარისია ამ შესანიშნავმა სნაიპერმა კიდევ ერთი თამაში ჩაატაროს და იგი საიუბილეო იქნება.

სწორედ წლევანდელი ჩემპიონატის პირველ წრეში გაიტანა მოსკოვის „ტორპედომ“ თავისი მე-1.000 გოლი. 200 შეხვედრა ჩაატარეს „ა“ კლასში ვ. არტემიევმა („შინიკი“) და ა. დენისენკომ („დინამო“, მინსკი).

264

პირველი წრე, გულახდილად ვიტყვით, არ იყო მაინცდამაინც უხვმოსავლიანი. შარშან თვითეულ მატჩზე საშუალოდ მოდიოდა 2,26 გოლი, ხოლო წელს ამ მაჩვენებელმა დაიწია 1,94-მდე.

პირველ წრეში სულ გატანილ იქნა 264 ბურთი. აქედან 149 გაიტანეს მასპინძლებმა, 115—სტუმრებმა. შესვენებამდე გატანილია 113 ბურთი, შესვენების შემდეგ—151. გამარჯვებულებმა გაიტანეს 185 ბურთი, ხოლო დამარცხებულებმა—25. 54 ბურთი გავიდა ფრედ დამთავრებულ შეხვედრებში.

ერთი სიტყვით, გატანილი გოლების რაოდენობა ძალზე მცირეა. საკმარისია ითქვას, რომ „ა“ კლასის შარშანდელი მონაწილე 15 გუნდიდან 13-მა გაიტანა ნაკლები გოლი, ვიდრე ეს ხდებოდა უკანასკნელი 5 წლის მანძილზე. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ მოსკოვის „ტორპედო“ და „შახტიორი“.

ყველაზე პოპულარული ანგარიში პირველ წრეში იყო მინიმალური შედეგი — 1:0, რომელიც გამეორდა 37-ჯერ. 24 შეხვედრა დამთავრდა უშედეგოდ—0:0, ხოლო 17—ფრედ—1:1. საბოლოოდ, გუნდებმა, რომლებმაც გაიტანეს თითო ბურთი ან სულაც არ გაუტანიათ გოლი, მიიღეს 156 ქულა. ეს კი მაქსიმუმის მთელ შესაძლებლობათა ნახევარზე მეტია, ვინაიდან მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმუმი უდრის 272-ს. 264 გოლმა გუნდებს მოუტანა ეს მაქსიმუმი — 272 ქულა! გამოდის, რომ გოლი ქულაზე უფრო ძვირად ფასობს!

კალეიდოსკოპი

● პირველ წრეში დანიშნულ იქნა 21 პენალტი, აქედან 16 სტუმრების კარში, ხოლო 5—მასპინძელთა მხარეს. 10 პენალტი გოლად იქცა, 7 მოიგერიეს მეკარეებმა, 3 მოხვდა ძელს, 1 აცდა კარს.

● საყურადღებოა, რომ პენალტის ბედი ყველაზე უკეთ თბილისის დინამოელთათვის წარიმართა. ამ გუნდს სამჯერ მიეცა 11-მეტრიანი დარტყმის უფლება და ს. მეტრეველმა სამივე ზუსტად გამოიყენა. და პირიქით, თბილისელთა კარში დანიშნული ორი პენალტი აღებულ იქნა მეკარე ს. კოტრიკაძის მიერ.

● როგორც ზევით ვთქვით, სნაიპერთა შორის დაწინაურდა ვ. ივანოვი — 9 ბურთი. 1961 წელს 16 ტურის შემდეგ ა. მამიკინს (ცსკა) გატანილი ჰქონდა 14 გოლი, 1962 წელს — ვ. საველიევს („შახტიორი“) — 11, 1963 წელს ე. მალაფეევს („დინამო“, მინსკი) — 10. როგორც ხედავთ, შედეგიანობა იკლებს, როგორც საერთოდ, ისე „კონკრეტულადაც“.

● გუნდებმა, რომლებმაც თავიანთ კარში პირველი ბურთი გაუშვეს, 28-ჯერ შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება, ამასთან ხუთჯერ მათ გამარჯვება მოიპოვეს, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში მატჩები დამთავრდა ფრედ.

● მხოლოდ ორი შემთხვევაა ფიქსირებული, როცა გუნდმა წააგო პირველი ტაიმი და საბოლოოდ გაიმარჯვა („კრილია სოვეტოვი“ — „ზენიტთან“ და „ნეფტიანიკი“ — მოსკოვის „ტორპედოსთან“.



ამსტერდამში აკადემიურ ნიჩბოსანთა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით გამოვიდა საბჭოთა ოთხადგილიანი ნავი (ვ. ევსეევი, ა. ტკაჩუკი, ბ. კუზმინი, ვ. გურჩენკო, მესაჭე ა. ლუზგინი), რომელმაც კონტინენტის ჩემპიონობა დაისაკუთრა.

სურათზე: საბჭოთა ნავი დისტანციაზე. ფოტო აპ-საკადესისა.



არმინ ჰარი მიდის ტოკიოში!

რომის ოლიმპიადის ჩემპიონს, დასავლეთგერმანელ სპრინტერს არმინ ჰარის უკვე სამი წელია საერთო არაფერი აქვს სპორტთან. ჰარი მიზნესმენია. მან გადაწყვიტა კინოში ეცადა ბედი, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა და ფირმებს საქონლის რეკლამა დაიწყო. ჯერ იგი სპორტული ინვენტარით ვაჭრობდა, შემდეგ უძრავი ქონების მაკლერი გახდა.

და აი, დასავლეთგერმანულ გაზეთ „დი ველტში“ გამოჩნდა მოულოდნელი ცნობა: „არმინ ჰარი მიდის ტოკიოში“. ჰარიმ მიატოვა რამდენიმე სარფიანი საქმე, რათა ოლიმპიურ თამაშებზე წავიდეს... სპორტულ კომენტატორად.

ჰარი აცხადებს, რომ იგი ტოკიოში მიემგზავრება არა სპორტისადმი მხურვალე სიყვარულით, არამედ...

ერთმა დიდმა ილუსტრირებულმა ჟურნალმა მას ჩინებული წინადადება შეთავაზა.

— მეც ვიფიქრე, — ამბობს ჰარი, — და გადავწყვიტე: იაპონიაში გფურ-ზე არანაკლები ფული გაკეთდება. განა სულ ერთი არაა, რითი ვივაჭრებ — მიწის ნაკვეთებით, თუ უსწრაფესი მორბენლის სახელით?

ოლიმპიური კვარცხლბეკის 1.386 საფეხური



— როგორ მივაღწიოთ სპორტულ ოლიმპს? შეიძლება ღირს ჯერ კიდევ წვრთნის დროს ვცადოთ რამე სიახლე?

ალბათ ამით ხელმძღვანელობდა ნორვეგიელი ტორალფ ენგანი, რომელიც ინსბრუკის დღეებში ვარჯიშისას ტრამპლინის საფეხურებზე ადიოდა ზურგზე 100-კილოგრამიანი ტვირთით. მოსაზრებული ნორვეგიელი ბრწყინვალედ გამოვიდა ზამთრის თამაშებში და ტრამპლინიდან ხტომაში მოიპოვა ოქროს მედალი.

ენგანის მეთოდი გაიგო იაპონიის მარათონელთა მწვრთნელმა მიისიოტემ. მან თავისი აღსაზრდელის ცუბარაიას მზადება ახალი სისტემით განაგრძო. ცუბარაია ვარჯიშობდა.... ტოკიოს კოშკის — კოტოკიროს კიბეზე. მწვრთნელი თანდათან ადიდებდა დატვირთვას. ამჟამად სპორტსმენი დღეში სამჯერ „ითვლის“ კიბის 1.386 საფეხურს. ასვლა არ ითვლება, თუ მარათონელმა საფეხურების დაძლევას 17 წუთზე მეტი მოანდომა.

ზოგიერთები ამბობენ, რომ ეს შუა საუკუნეების მეთოდია. მაგრამ ცუბარაია სხვანაირად ფიქრობს. იგი სიამოვნებით ემორჩილება მწვრთნელის მითითებას და ანგარიშობს: კოტოკიროს კოშკის 1.386 საფეხური — ოლიმპიადაზე გამარჯვების საფეხურებია.

სიფრთხილეს თავი არ ტკივა

ოლიმპიური ბილეთებით სპეკულაციის თავიდან აცილების მიზნით, იაპონიის ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა თვითეულ გულშემატკივარზე გასცეს მხოლოდ 2 ბილეთი. საინტერესოა, რომ საზღვარგარეთის ორგანიზაციებისთვის ბილეთებს • გზავნის ტოკიოს ბანკი ჩვეულებრივი კონვერტით, რომელსაც არ აქვს ოლიმპიური ემბლემა ან სხვა რაიმე სპეციალური ნიშანი. ამრიგად, ბარათები შენიღბულია, რათა ბილეთები არ მოიპარონ.

გახორციელდა უსაფრთხოების კიდევ ერთი ზომა: სხვადასხვა ქვეყანაში გასაგზავნი ბილეთები გადაიღეს მიკროფირებზე, რაც საშუალებას მისცემს თამაშების ორგანიზატორებს შეამოწმონ — სხედან თუ არა უცხოელი სტუმრები თავიანთ ადგილებზე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ოლიმპიური ჩანაწერები

● გფრ. ლიუბეკში რესპუბლიკისა და სრულიადგერმანული მიღწევა გაიმეორა 100 მ რბენაში მინამდე უცნობმა მძლეოსანმა ქალმა რ. მაიერ-როზემ — 11,4 ქ. ეკანში 100 მ რბენაში (პატარა პირქარისას) ახალგაზრდა სპრინტერმა ფ. ოვერზიბრასმა და მ. ენიკენბერგმა აჩვენეს 10,3.

● **კიბტო.** ტოკიოს ოლიმპიადაზე ეკვადორის სპორტსმენები ექვს სახეობაში იასპარეზებენ: მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, ფარიკაობაში, სროლაში, ცურვასა და საიალქნო სპორტში. საჩვენებელი გამოსვლებისთვის დელეგაციის შემადგენლობაში არიან ბეისბოლისტები.

● *სტოკჰოლმი.* ბრწყინვალე დროში გაირბინა 3.000 მ დაბრკოლებებით მსოფლიო რეკორდსმენმა, ბელგიელმა გ. რულანტსმა. მან მიმდინარე სეზონში მეორედ აჩვენა 8.31,8.

● **კაპენბერგი.** აქ დაიწყო ავსტრიის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. შესანიშნავად გამოვიდა ჰ. ტუნა, რომელმაც ურო ტყორცნა 67,77 მეტრზე.

▲ **მილანი.** ლუის სუარესმა 3 წლით გაანახლა კონტრაქტი „ინტერნაციონალთან“.

▲ *მადრიდი.* ევროპის ექს-ჩემპიონი კრივში ფოლედა, რომელმაც შეიცვალა პროფესია და ტორეადორი გახდა, ამას წინათ კორიდის დროს მძიმედ დაშავდა.

▲ **ვენა. ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დანიშნა ბელა გუტმანი.**

▲ *მადრიდი.* „რეალმა“ დი სტეფანოს ნაცვლად ცენტრფორვარდად აიყვანა მოროლონი.

▲ **ბუენოს-აირესი.** ელენიო ერერამ, რომელიც არგენტინაში სტუმრობდა, თვალი დაასო ორ ახალგაზრდა ფეხბურთელს — არტემას და ონეგას. ფიქრობენ, რომ ერერა მათ „ინტერნაციონალეში“ წაიყვანს.

▲ **გლაზგო. შოტლანდიის ფეხბურთის ხელმძღვანელებს სურთ ეროვნული ნაკრების მწვრთნელად მიიწვიონ ინგლისელი უინტერბოტომი. მათი აზრით, გამოცდილი მწვრთნელი რიგიანად მოამზადებს შოტლანდიის ნაკრებს მსოფლიოს 1966 წლის პირველობისთვის.**



▲ *მეხიკო.* აქ სულ მალე გაიხსნება ახალი სტადიონი 110 ათას მაყურებელზე. გახსნის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ადგილობრივ ნაკრებს ეთამაშება მადრიდის „რეალი“.

▲ *ბუდაპეშტი.* მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპის ჩემპიონატში უნგრეთი აგზავნის შემდეგ სპორტსმენებს: ბერეცკს, როჟაშს, ფახაზის, კოციანს, ფელდის და ლუკაჩს.

▲ *ვენა.* გათამაშდა ავსტრიის ღია ჩემპიონატი კლასიკურ ჰიდობაში (4 წონით კატეგორიაში). პირველი ადგილები მოიპოვეს: ტოტმა (ჩეხოსლოვაკია), ბროტცნერმა (ავსტრია), ლენგლემ (ავსტრია) და ვისბერგერმა (გერმანია).

▲ **ჰამბურგი. საბჭოველის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ჰეიდ ბიბლი გაჭირვებულ ფინანსურ მდგომარეობაშია. მან უკვე გაყიდა თავისი დიდი ოლიმპიური მედალი.**

თბილისის იპოდრომი

16-18 აგვისტო

სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობა

ცხენოსნობაში

16 აგვისტო: 8.00 — სამჭიდი — სამანეჟო სვლა, 13.00—დაბრკოლებათა გადალახვა — „სოფლის სპორტსმენთა თასი“. 15.00 ორჭიდი — დაბრკოლებათა გადალახვა.

17 აგვისტო: 9.00 — სამჭიდი — საველე გამოცდა, 18.00 — დაბრკოლებათა გადალახვა — „რთული კლასი“.

18 აგვისტო: — 13.00 — სამჭიდი დაბრკოლებათა გადალახვა. 17.00 დაბრკოლებათა გადალახვა — „სამონადირო პარკური“.

საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი აცხადებს **დამატებით მილებას ინსტიტუტის სალამოს განყოფილებაზე და მწვრთნელთა სკოლაში.**

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე 10 საათიდან 16 საათამდე.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, № 49.

თამაშების გმირები

ყოველ სპორტულ შეჯიბრებას ჰყავს თავისი გმირი, ეს — ცალკეული სპორტსმენი იქნება, თუ მთელი გუნდი. ამ მხრივ გამონაკლისს არც ოლიმპიური თამაშები წარმოადგენს. ჩვენამდე არ მოუღწევია ცნობებს უძველეს ოლიმპიადებში სპორტსმენთა გმირობაზე. ამიტომ მივყვეთ თანამედროვე თამაშებს, რომლებსაც დასაბამი მიეცა 1895 წელს, ათენში.

პირველმა ოლიმპიადამ შემოგვინახა თამაშების 4 გმირის სახელი. ესენი იყვნენ ამერიკელი მძლეოსნები თომას ბიორკი (100 მ, 400 მ), ელერ კლარკი (სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომა), ავსტრალიელი ედვინ ფლეკი (800 მ, 1.500 მ) და ფრანგი ვეელოსიპედისტი ალბერ მასონი. ეს უკანასკნელი 3-ჯერ ავიდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე.

II ოლიმპიურ თამაშებზე (პარიზში) ნამდვილი სპორტული გმირობა ჩაიდინა ამერიკელმა მძლეოსანმა ელვინ კრენცლეინმა. მან ოქროს 4 მედალი დაიმსახურა — 60 მ რბენაში, 110 და 200 მ თარჯრბენში, აგრეთვე სიგრძეზე ხტომაში.

მომდევნო თამაშებზე პირველი სპორტსმენის სახელისთვის ბრძოლა გაიმართა ამერიკელი მძლეოსნების — არჩი ჰანსს, ჰარი ჰილმენსა და ჯეიმს ლაატბოდს შორის. ოქროს მედლები თანაბრად იქნა განაწილებული — 3-3. მაგრამ უპირატესობა მაინც ჰილმენს მიენიჭა, რომლის მიერ 400 მ თარჯრბენში ნაჩვენები დრო (53 წამი) იმ დროისთვის მართლაც ფანტასტიკური იყო.

16 წლის შემდეგ, ანტვერპენში, მთელი მსოფლიო ალაპარაკეს ფინელმა მძლეოსნებმა, რომლებმაც პირველი ადგილები მოიპოვეს 10 სახეობაში. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად პაავო ნურმის, — მან მოიგო 1.500 და 5.000 მ რბენა და თამაშების გმირად იქნა გამოცხადებული.

მომდევნო ოლიმპიადაზე (პარიზში) ნურმიმ კვლავ დაამტკიცა, რომ იგი მსოფლიოს პირველი სპორტსმენი იყო, მაგრამ ფინელს გამოუჩნდა მეტოქე — ამერიკელი მოცურავის ჯ. ვეისმიულერის სახით. ეს უკანასკნელი საუკეთესო იყო 100, 400 მ ცურვაში და ამანათცურვაში გამარჯვებული ამერიკის გუნდის სასელს იცავდა. მაგრამ ნურმის ოქროს 1 მედლით მეტი ნადავი აღმოაჩნდა.

1936 წელს, ბერლინის თამაშებში უძლიერესი იყო შესანიშნავი ზანგი მძლეოსანი ჯესი ოუენსი (აშშ). იგი მძლეოსნობის ოთხ სახეობაში გამოვიდა და ოთხივეში ჩემპიონი გახდა. დაუვიწყარი იყო ჯესი ამანათრბენში. მან ბრწყინვალედ გაირბინა უკანასკნელი ეტაპი, რითაც საშუალება მისცა აშშ-ის გუნდს არა მარტო ჩემპიონობა მოეპოვებინა, არამედ მსოფლიო რეკორდის მფლობელიც გამხდარიყო — 39,8.

„მფრინავი ჰოლანდიელი“ — ასე შეარქვა მსოფლიოს სპორტულმა პრესამ ჰოლანდიელ მძლეოსან ქალს ფრანსინა ბლანკერს-კოენს. ლონდონის თამაშებში იგი უძლიერესი იყო 100 (11,9), 200 (24,4) მ რბენაში, 80 მ თარჯრბენში (11,3 — მსოფლიო რეკორდი) და ამანათრბენში, როგორც გამარჯვებული ჰოლანდიის გუნდის უკანასკნელი ეტაპის მონაწილე.

ძველად ბერძნები ოლიმპიადებს გამარჯვებულის, ყველაზე შესანიშნავი სპორტსმენის სახელს არქმევდნენ. თუ ასეა, მაშინ ჰელსინკის XV თამაშებს უნდა შერქმეოდა „ზატოპეკის ოლიმპიადა“, რადგან შესანიშნავმა ჩეხმა სტაიერმა ემილ ზატოპეკმა ერთბაშად სამი ოქროს მედალი მოიპოვა 5.000, 10.000 მ და მარათონულ რბენაში. მელბურნის გმირი, რასაკვირველია, საბჭოთა სპორტსმენი ვლადიმერ კუცი იყო. მისმა გამარჯვებებმა 5.000 და 10.000 მ რბენაში, მას მსოფლიო აღიარება მოუტანა.

რომის ოლიმპიურ თამაშებში ვერავინ შეედრებოდა ამერიკელ ზანგ სპორტსმენ ქალს, „შავ ქურციკად“ წოდებულ ვილმა რუდოლფს. იგი სწორუპოვარი იყო 100 და 200 მ რბენაში, მესამე მედალი კი ამანათრბენში მოიხვეჭა. სპორტული გმირობა ჩაიდინა რობერტ შავლაყაძემაც. მან საქვეყნოდ აღიარებულ მსოფლიო რეკორდსმენს სიმაღლეზე ხტომაში — ამერიკელ ჯონ თომასს პირდაპირ „ხელიდან გამოგლიჯა“ ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი.

ტოკიოს თამაშები კარზეა მომდგარი. გავა 2 თვეზე ნაკლები და შევიტყობთ ტოკიოს ოლიმპიადის გმირი სპორტსმენის, შეიძლება გმირთა მთელი ჯგუფის, ვაჟკაცობის ამბავს.

მაშ ასე, მოვითმინოთ მომავალი ოლიმპიადის დამთავრებამდე!

ზ. ჯანდიერი



საფეხბურთო ნაკვესები

● ბურთს ურტყამდნენ, მაღლა კი მაყურებელი ხტოდაო.

● ბურთს ჰკითხეს — კარისკენ რატომ გარბიხარო? იმიტომ, რომ ყველა ფეხს მირტყამს, მეკარე კი გულში მიხუტებსო.

● გუნდმა თამაში წაგო და სხვის მინდორს დაბარალაო.

● ორიანმა თქვა: ჩემი მომპოვებელი მინდორზე ბედნიერია, მაგრამ სკოლაში უბედურიო.

გ. ლომიძე

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. **რედაქციის მისამართი:** თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, **დეპეშებისთვის** — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე)—პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია—5-16, მემანქანეთა ბიურო—5-11, გამომშვები—3-81.



ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 11297